მერამდენედ და სანამდე?!

ჯემალ კეჭაყმაძე ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარია, უფრო სწორად, შინაური კაცია. მან, გასულ სამშაბათს, 8 ოქტომბერსაც, არ დაარღვია ტრადიცია, შემოგვიარა და გვისაყვედურა კიდეც, რატომ არაფერს ვწერთ იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომის ოზურგეთელი გმირების კვარცხლბეკებიდან ჩამოხსნილ და გაუბედურებულ ბიუსტებს, როგორც ძეგლებს, ქალაქის ტერიტორიაზე ადგილი არ გამოეძებნა.

როგორ არ დავწერეთ, თანაც რამდენჯერმე, მაგრამ, როგორც ჩანს, ან კარგად ვერ დავწერეთ, ან კიდევ „წერეთ და იკითხეთო“ – ამ პოზიციით მიუდგა ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენს პუბლიკაციებს.

ისტორიული მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები რომ მიმდინარეობს, სასიამოვნო ფაქტია, შესაძლებელია, ისტორიულიც, მაგრამ ომის გმირების სკულპტურების ასე ზურგშექცევით (გარდა ერთისა) ჩაყენება არ უნდა იყოს მთლად ლამაზი, არც ერთი იმსახურებს ამას. ამათ მტერმა ვერ შეაქცევინა ზურგი და ჩვენ რას ვესარჩლებით? ესენი რომ არა, შესაძლებელია სამუზეუმოდ და საფოლკლორსახლოდ არც გვქონოდა საქმე. მაინც. რა ჯდება ამდენი, რით ვერ გამოიძებნა მუნიციპალიტეტის ლამის ორმოცმილიონიან ბიუჯეტში საიმისო თანხები, რომ ამ ბიუსტებმა ერთხელ და სამუდამოდ დაიკავონ თავიანთი ადგილები ქალაქის სივრცეში? სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?

შემიძლია, დაგისახელოთ ერები, ისტორია რომ არ აქვთ და ქმნიან, ჩვენ კი გვაქვს და ვანგრევთ?! ეს გმირები ხომ ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

თემურ მარშანიშვილი.

ოზურგეთელი ამირან სვანიძე ვეტერანთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა



გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა ოზურგეთელმა ამირან სვანიძემ (88 კგ. C დივიზიონი) ყველა შეხვედრა მოიგო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 35 (10328) 14 ოქტომბერი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

სოფლებში ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია დაიწყო

ახალი სამედიცინო პუნქტები შენდება ჭანიეთში, ნასაკირალში, გურიანთასა და კონჭკათში, ხოლო რეაბილიტაცია ნატანების, ნარუჯის, ბაილეთის, შემოქმედის, ურეკისა და ბოხვაურის ამბულატორიებს უტარდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ახალი სამედიცინო პუნქტები შენდება ჭანიეთში, ნასაკირალში, გურიანთასა და კონჭკათში, ხოლო რეაბილიტაცია ნატანების, ნარუჯის, ბაილეთის, შემოქმედის, ურეკისა და ბოხვაურის ამბულატორიებს უტარდება.

მიმდინარე სამუშაოებს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე, აკაკი შენგელია და ოზურგეთის მერის მოადგილე, ოსიკო თოთიბაძე გაეცნენ.

პროექტის ჯამური ღირებულება 794 118 ლარს შეადგენს, რომელიც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

გია ვოლსკი: „სოფლის მეურნეობის ინტელექტუალური რესურსი ადგილებზე მისული არ არის“

პარლამენტარები სოფელ ძიმითსა და ნაგომარში მოსახლეობას შეხვდნენ

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი **გია ვოლსკი,** პარლამენტარები **გია გაჩჩილაძე, თემურ ჭკუასელი,** გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** პროექტ „ღია მმართველობის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: მთისპირის, ასკანის, ძიმითისა და ნაგომრის მოსახლეობას შეხვდნენ.

ჩვენ არაინფორმირულობის გამო შეხვედრებს მხოლოდ სოფელ ძიმითსა და ნაგომარში დავესწარით.

სოფელ ძიმითის მოსახლეობისთვის წლევანდელი წელი იმითაა გამორჩეული, რომ აქაური მოსწავლეები სკოლის განახლებულ შენობაში შევიდნენ. ეს სკოლა თავისი ტექნიკური ბაზით და პედაგოგთა კვალიფიკაციით ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციალიტეტში.

შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სოფლის ცენტრში ფაროსანასთან მებრძოლი ჯგუფი შევიდა და პარლამენტარების ავტომანქანების გამოჩენისთანავე შეუდგნენ შებოლებას...

პარლამენტარები სოფლის ახალ კლუბში შეხვდნენ მოსახლეობას.

გია ვოლსკიმ მოსახლეობას გააცნო საქართველოს მეზობელ ქვეყნებში შექმნილი რთული სიტუაცია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, პენსიების და დახმარებების ოდენობის გაზრდის შესახებ.

სოფლის მეურნეობაში აღნიშნა კენკროვანი კულტურების (მოცვის) გაშენებაში სახელმწიფო დაფინანსების შესახებ.

–სოფლის მეურნეობის ინტელექტუალური რესურსი ადგილებზე მისული არ არის – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

ტიტე მგელაძე, *სოფელ ძიმითის მაჟორიტარი დეპუტატი:*

–სოფელში 2 ახალი სკოლა გვაქვს. ერთი ახალი აშენდა, მეორეს „მილენიუმის“ პროგრამით სრული რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ სკოლებს არ ექნებათ წყალი. სოფლის ცენტრში მდებარე საპილოტე სკოლაში არტეზიულ ჭას აკეთებენ, ხოლო შემოღობვას რიყის ქვის ყორით, რაც სკოლისათვის არაა მიზანშეწონილი...

ვახტანგ მგელაძე, *პენსიონერი:* –22 ათასი საბჭოთა რუბლი მქონდა შეტანილი ანაბარზე. როგორც სხვებს, ისე წამართვეს მეც. გთხოვთ, დაგვეხმაროთ და მოგვცენ ჩვენ მიერ შეტანილი თანხის 10 პროცენტი, რომ „დასამარხი“ თანხა გვქონდეს...

ზოთა თოიხაძე– წლების მანძილზე ვიყავი ამ სოფლის კოლმეურნეობის და საკრებულოს თავმჯდომარე. 4 700 ტონაზე მეტი ჩაი იკრიფებოდა ჩვენს სოფელში.. შემდეგ სოფელი თხილის მოიმედე გახდა და იცით რა დაგვმართა ფაროსანამ.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამის პრეზენტაცია

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.

პროგრამა ოთხ საპილოტე რეგიონში - კახეთში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების საშუალებით, დაბალანსებულ მდგრად სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას ითვალისწინებს.

პროექტის ამოცანებია: რეგიონული ურბანული ცენტრების სო-ციალურ- ეკონომიკური როლის გაძლიერება; რეგიონული ტურიზმის პოტენციალის განვითარება; ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა; ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა; ეროვნულ დონეზე რეგიონული პოლიტიკასა და ისრგპ-ს განხორციელებაში ჩართული უწყებების ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარება.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობების და რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტის ინიციატორი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა.

მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხუთი ოზურგეთელი, მენტორი პედაგოგი დაჯილდოვდა

მენტორ მასწავლებლებს **მზია ვაშალომიძეს, ნინო ვაშალომიძეს, მაია გოგუაძეს, თამარ ყურაშვილს, ციური გოგიბერიძეს** პროფესიული დღე მიულოცეს, მადლობის სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს გურიის მხარის რწმუნებულმა **ზურაბ ნასარაიამ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით დარჩიამ** და მერის მოადგილემ **ირაკლი სირაძემ.**

"ძვირფასო მასწავლებლებო, თქვენ უმნიშვნელოვანესი როლი გენიჭებათ განათლებული თაობების აღზრდის საქმეში. თქვენი ღვაწლი ფასდაუდებელი და გმირობის ტოლფასია.

პედაგოგთა ხელშეწყობა ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ამ მხრივ მრავალი სასიკეთო სიახლეც ინერგება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღეს, გისურვებთ კეთილდღეობას, წინსვლას, ბევრი წარმატებული თაობის აღზრდას ჩვენი ქვეყნის და რეგიონის საკეთილდღეოდ!" - უთხრა მათ ზურაბ ნასარაიამ.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 39 ახალ პროექტს იწყებს

განხორციელებული და მიმდინარე პროექტების მიუხედავად, კომპანიის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ქვეყნის მასშტაბით წყლისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება. რეგიონებში სამუშაოები აქტიურ რეჟიმში გრძელდება რათა წყალმომარაგების სისტემების მოდერნიზებასთან ერთად, გამართული საკანალიზაციო ქსელები მოეწყოს, ‘’- ამის შესახებ წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა **ეკატერინე ვალდავამ** პარლამენტში, კომპანიის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

„ამ დროისთვის, კომპანიის ოპერირების არეალში წყალარინების სისტემით უზრუნველყოფილია დახლოებით 60%-70%. დაფარვის არეალში წყალარინების სისტემის 80% საჭიროებს რეაბილიტაციას. კომპანიამ შეიძინა ქსელების სარეაბილიტაციო გასაწმენდი ავტომობილი (კროლი), რომლის სიმძლავრის ანალოგიც საქართველოში არ მოიპოვება. სპეცტექნიკა კომპანიის ბალანსზე არსებული გაბიდნული წყალარინების ქსელების გაწმენდას უზრუნველყოფს, რომელიც ახანგრძლივებს ექსპლუატაციის ვადებს, ხოლო ქსელები, რომელიც არ ექვემდებარება სპეცტექნიკით ექსპლუატაციაში დაბრუნებას, საჭიროებს სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოებს”, - განაცხადა კომპანიის დირექტორმა.

ეკატერინე ვალდავამ წყალარინების კუთხით რეგიონებში დაგეგმილ მასშტაბურ პროექტებზეც ისაუბრა, რომლებიც, მისი თქმით, სრულიად ახალი, გამართული საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს.

„ამბროლაურის წყალარინების ქსელის მშენებლობას ვგეგმავთ, ფოთში კი უკვე აქტიურად მიმდინარეობს წყალარინების ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ასევე ვგეგმავთ აბაშაში ახალი ქსე-ლი გაკეთდეს საცხოვრებელი კორპუსებისთვის. მარტვილში, როგორც წყალარინების ქსელის, ასევე გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა არის დაგეგმილია, გარდა ამისა გაკეთდება დაბა ჯვარის კანალიზაციის კოლექტორი და გამწმენდი ნაგებობა, მესტიაში კი წყალარინების გამწმენდი. ბორსა და ხაშურში მოეწყობა როგორც წყალარინების ქსელი, ასევე გამწმენდი ნაგებობები. საკმაოდ მოცულობით სამუშაოები ჩატარდება იმერეთის რეგიონში, კერძოდ - ქუთაისში, ბაღდათში, ვანში, სამტრედიასა და ჭიათურაში, სადაც გაკეთდება როგორც წყალარინების ქსელები, ასევე აშენდება ახალი გამწმენდი ნაგებობები. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ჩვენ მოვიცავთ დუშეთსა და დაბა ყაზბეგს. ასევე, კახეთში, ყვარელში ვგეგმავთ სრულიად ახალი ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობას. გურიის რეგიონს რაც შეეხება, ჩოხატაურში მოეწყობა ქსელი და გამწმენდი ნაგებობა, ხოლო სამცხე-ჯავახეთში დაგეგმილი გვაქვს ბაკურიანის წყალარინების ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა“, -განაცხადა ეკატერინე ვალდავამ.

წყალმომარაგებისა და წყალარინების მიმართულებით სულ 39 ახალი პროექტი დაიწყება. 2020 წელს დაგეგმილი პროექტების ფარგლებში, დამატებით 70 ათას აბონენტს 24-საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგება ექნება.

სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი – დოკუმენტის ძლიერი და სუსტი მხარეები

ალიონი. 7 ოქტომბერს, „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, დროებით სამუშაო ჯგუფისა და პარტნიორი ორგანიზაციების 7 ივნისის შეხვედრაზე განიხილეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია“.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ შეხვედრაზე გააკეთა მოკლე ინფორმაცია აღნიშნული სტრატეგიის განვითარების დოკუმენტის შესახებ. მისი მოადგილის გიორგი ღურჯუმელიძის წინადადებით, სტრატეგიის გეგმის შემუშავების შესახებ ვრცლად ისაუბრა აპარატის უფროსმა ნანა თავდუმაძემ. სტრატეგიის გეგმის შემუშავების ეტაპები წარმოადგინა პროექტის ავტორმა ლევან ხინთიბიძემ, რომლის განმარტებით ,დოკუმენტი საბაზოა და მხოლოდ ერთობლივი განხილვის შემდეგ მიიღებს საბოლოო სახეს. მანვე ისაუბრა სტრატეგიის მისიასა და დანიშნულებაზე, ღირებულ-ებებზე, სტრატეგიული ანალიზის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე. აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმას აქვს 3 სტრატეგიული მიზანი: 1) გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება და განვითარება; 2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირთა ანგარიშების ვალდებულებების ზრდა; 3) მუნიციპ-ალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა.

კომისიის წევრმა გ. კილაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტი ზუსტად მიყვება სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურას და პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც მსგავსი ტიპის დოკუმენტებშია მოცემული. გამოთქვა რამდენიმე მოსაზრებაც, რომლის გათვალისწინება დოკუმენტს უფრო სრულყოფილს გახდის. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დოკუმენტის შესავლის სტრუქტურასა და შინაარსზე, სტრატეგიული გეგმის სწოტ ანალიზის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების, სუსტი მხარეებისა და საფრთხეების ურთიერთკავშირზე.

კომისიის წევრების თ. ღლონტის, მ. სალუქვაძის, ლ. მჟავანაძის აზრით, პროექტის სტრატეგიული ანალიზი, ისევე, როგორც მთელი დოკუმენტი, პროფესიულ დონეზეა მომზადებული, თუმცა, ზოგიერთი შენიშვნა მოითხოვს გათვალისწინებას.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა: მოხდეს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის სინქრონიზაცია; კომისიის ყველა წევრს მიეცეს საშუალება გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტს; მომდევნო სხდომა გაიმართოს 21 ოქტომბერს, სადაც დეტალურად განიხილება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებული კომისიის წევრების შენიშვნები და წინადადებები.

გია ვოლსკი: „სოფლის მეურნეობის ინტელექტუალური რესურსი ადგილებზე მისული არ არის“

პარლამენტარები სოფელ ძიმითსა და ნაგომარში მოსახლეობას შეხვდნენ

წინა წლებში თხილის მწარმოებლები ჩამოვიდნენ სოფელში და შემოგვთავაზეს, შუამავალი რგოლის (ე. წ. დისტრიბურების) გარეშე მაღალ ფასებში მიიღებდნენ თხილს, მაგრამ დღეს დამოკიდებულნი ვართ ე. წ. თხილის მტეხავებზე...

ირინა ქარქაშაძე, დიასახლისი – ჩვენს დასახლებას ნასაკირალის წყლები ჰქვია, მაგრამ დღეს უწყლობით იტანჯება 34 ოჯახი. მეორე თემაა ცენტრალურ გზაზე დაყრილი ათეულობით მაწანწალა ძაღლი. გუშინ მე-9 კლასელი გოგონა დაკბინეს. შვილებს ვერ ვუშვებთ სკოლაში გამყოლის გარეშე...

კარლო ჩხაიძე, პენსიონერი: –თირის უბანში ვცხოვრობ, მეწყერმა სახლი დამინგრია...

ნუნუ ჟვანია, –კოხის უბნის მოსახლეობა 20 წელია უწყლოდაა...

* * *

სოფელ **ნაგომარის** ცენტრში, ჭადრის ხის ჩრდილში შეკრებილ მოსახლეობასთანაც შეხვედრა საინტერესო და საქმიანი იყო.

აქ მთავარი თემა უწყლობაა. ადრე მდინარე სუფსიდან მძლავრი დანადგარებით წყალს „აქაჩავებდნენ“ სოფლის მაღალობზე მდებარე ორ რეზერვუარში. ეს იყო ტექნიკური წყალი. სასმელ წყალს მოსახლეობა ჭებიდან და წყაროებიდან იღებდა. თუმცა დღეს ვერც ტექნიკურ წყალს იღებს და მდინარე სუფსის აუზში ქვა-ღორღის უკონტროლო მო-პოვების გამო ჭებში ზაფხულობით წყალი აღარაა.

–იდენტური პრობლემებია სხვა სოფლებში.ც დღეს სოფელ მთისპირში ვიყავით და იქაც წყლის პრობლემაა. წყალსადენი კი აქვთ, მაგრამ წყალი ვანისქედის უბანს არ მიეწოდება. თუ გაქვთ გათვლილი, რა დაჯდება სოფლის წყალმომარაგების სისტემა – იკითხაა გია ვოლსკიმ.

– ტექნიკური წყალი რომ მივიღოთ, 2,3 მილიონი ლარია საჭირო, წყალი სოფელ მთისპირიდან შეიძლება გამოვიყვანოთ,– იყო პასუხი.

რუსუდან კალანდარიშვილი, პედაგოგი: – წყლის პრობლემა სკოლაში მწვავედ დგას. მოსწავლეებს სახლიდან დააქვთ სასმელი წყალი. სკოლის რეაბილიტაცია კი მთავარი პრობლემაა ჩვენთვის. ამჟამად აქ 105 მოსწავლე სწავლობს.

–თქვენი სკოლა ჩასმულია 2020 წლის პროგრამაში,– უპასუხა უმრავლესობის ლიდერმა.

გია ვოლსკიმ მოსახლეობას უთხრა, რომ მათ ჰყავთ კარგი გუბერნატორი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და შეუძლიათ მათ პრობლემები გააცნონ, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნაგომრის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელ **მიხეილ ცქიტიშვილს** კი ურჩია, რომ მან სოფლის პრობლემების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია გუბერნატორს, მერს და მოსთხოვოს მათ პრობლემების მოგვარება.

როგორც სოფელ მთისპირის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვლადიმერ ჩავლეიშვილმა** გვითხრა, მთისპირელებმა დეპუტატების წინაშე დააყენეს მაღალმთიანი სოფლის სტატუსის აღდგენის, საბავშვი ბაღის და ამბულატორიის შენობების აგების, წყლის პრობლემის მოგვარების (სოფელს ამჟამად წყალი არ მიეწოდებოდა, ხოლო ვანისქედისა და უაკნავას უბნები საერთოდ წყალმომარაგების გარეშეა დარჩენილი), სოფლის გაზიფიცირების, ასკანა-მთისპირისა და ბახვი-მთისპირის გზის რეაბილიტაციის საკითხი.

როცა ამომრჩეველი დეპუტატის ანგარიშს ისმენს

ალიონი. საკრებულოს წევრმა **ლელა საჯაიამ,** ამომრჩევლებს 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. ეს ანგარიში იმითაც იყო საინტერესო, რომ დეპუტატმა თავის ანგარიშის წარდგენისას საკრებულოში მიიწვია მაჟორიტარი საარჩევნო უბნის ამომრჩევლები . როგორც ლელა საჯაიამ განაცხადა, ეს ის ამომრჩევლებია, რომელთაგან ნაწილს ჯერჯერობით მუნიციპალიტეტიდან გადაუწყვეტელი საკითხები აწუხებთ.

ლელა საჯაიამ, რომელიც ქალაქის ზვანი-მოიდანახეს ოლქის მაჟორიტარია, ამომრჩევლებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

ყურადღება გაამახვილა 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესზე და ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალურ პროგრამებზე. „მნიშვნელოვანია, ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ცვლილება ჩვენი მოქალაქეების სასიკეთოდ. გასულ წელთან შედარებით გავზარდეთ იმ ადამიანების სამედიცინო დახმარების გაწევის ფინანსური ხარჯი. ასევე გავზარდეთ დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დახმარების პროგრამა 800- დან 1200 ლარამდე; დავამატეთ ძვირადღირებული კვლევის დაფინანსების პროგრამა; გავზარდეთ სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამაში არსებული ბიუჯეტი, რომელმაც გასულ წელს განსაკუთრებული პრობლემები გადაუწყვიტა ჩვენს მოქალაქეებს."- აღნიშნა საჯაიამ.

ყურადღება გამახვილდა ასევე იმ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელიც სამაჟორიტარო ოლქში ხორციელდება. ეს არის კანალიზაციის სისტემის მოწყობა კოსტავას ქუჩაზე, გზების მოწესრიგება ანდღულაძის, გურიელის, კიტა მეგრელაძის, მაიაკოვსკის, საფო მგელაძის, ლერმონტოვის და სხვა ქუჩებზე. ასევე წყლის სისტემისა და გზის რეაბილიტაცია შემოქმედელის ქუჩაზე.

ლელა საჯაიმ მომავალი წლის მთავარ პრიორიტეტად, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ზვანის უბანში 8 საბავშვო ბაღის მშენებლობა დაასახელა.

ლამზირა ლომაძე, ამომრჩეველი, მერაბ კოსტავას ქუჩის მცხოვრები: –ჩვენს ქუჩაზე წლების მანძილზე გადაუჭრელი კანალიზაციის გაყვანის პრობლემა მოგვარდა, მაგრამ 2015 წელს მივმართე მუნიციპალიტეტს, რომ შენობას სჭირდებოდა გადახურვა. არ გადაუხურავთ. წყალმა დამიზიანა ოთახი. გამირემონტეს, მაგრამ სხვა პრობლემა მოუგვარებელია. ბევრ თანამდებობის პირს მოსმენა არ შეუძლია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატზე.

რაისა სამაია – კიტა მეგრელიძის ქუჩის ჩიხში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, გზა ავარიულ მდგომარეობაშია;

დავით აფხაზავა: –ლელა საჯაია წარმატებული პედაგოგი და გულისხმიერი დეპუტატია. იგი ჩვენთან ერთად იბრძვის პრობლემების მოსაგვარებლად. იმედია მოხვდება ნოდარ დუმბაძის მე-2 შესახვევის რეაბილიტაცია;

ელენე ონიანი, მერაბ კოსტავს ქუჩაზე კანალიზაცია გაკეთდა, წყალი მოგვარდა, მაგრამ მაწანწალა ძაღლების პრობლემაა. 12 წლის შვილს დავყვები სკოლაში, რომ გზაში მაწანწალა ძაღლებისგან დავიცვა;

შორენა კეკელიძე: – აუცილებელია ქ. ოზურგეთის №8 ბაღისათვის შენობის აგება...

ამომრჩევლების ყველა კითხვას პასუხები გასცეს: მაჟორიტარმა დეპუტატმა ლელა საჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავამ.

პოლონურ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პერსპექტივები და ერთობლივი პროექტების განხორციელების მნიშვნელობა

ალიონი. სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში **ქეთევან მოისწრაფეშვილი** და ოზურგეთის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნანა თავდუმაძე** პოლონეთის ქალაქ ლუბლინიდან დაბრუნდნენ, სადაც ისინი, როგორც მომხსენებლები, მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ინიციატივების VII კონგრესში.

კონგრესი მიეძღვნა უნიკალურ მოვლენებსა და საიუბილეო თარიღებს: ლუბლინის კავშირის 450 წლის იუბილეს, აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლისთავს, ევროკავშირში პოლონეთის შესვლის 15 წლისთავს და ცენტრალური ევროპის რეგიონში დემოკრატიული გარდაქმნების 30 წელს.

პოლონეთის მუნიციპალიტეტებთან და ლოკალური დემოკრატიის განვითარების კავშირთან პროექტების ერთობლივად განხორციელებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება:

„ეს კონგრესიც ამ მრავალწლიანი თანამშრომლობის ერთგვარი გაგრძელებაა. ასეთ შეხვედრებში, ფორუმებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. კონგრესი დიალოგის პლატფორმაა ასობით პრაქტიკოსისათვის, ასევე წარმოადგენს ღია სივრცეს გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის შესახებ მსჯელ-ობისთვის. კონგრესზე დისკუსიების მნიშვნელოვანი ელემენტი იყო რეგ-იონული თანამშრომლობის პერსპექტი-ვების განხილვა და ინოვაციები“, – უთხრა „ალიონს“ ნანა თავდუმაძემ.

ლუბლინის მერ ქრისტოფ ჟუკთან შეხვედრისას ქეთი მოისწრაფეშვილმა ხაზი გაუსვა კონგრესისა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას. მხარეები შეთანხმდნენ გურიისა და პოლონური მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე

კონგრესი, რომელზეც 15 თემატური მიმართულებით 55 სადისკუსიო პანელი გაიმართა, ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ოპა! არ ენდოთ „ოპპას“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატებს!!!

ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ჩვენი გაზეთის რედაქტორმა თავის ფეისბუკ–გვერდზე გამოაქვეყნა. როცა გავეცანით, მართალი გითხრათ, გაოცებისაგან პირღია დავრჩით, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ კი, დავრწმუნდით, რომ ამ პოზიციაში ყოფნა დიდხანს არ შეიძლება, რადგან, როგორც ჩვენ, ისე სხვებიც შეიძლება ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, ანუ ჩარიცხული ჩაურიცხავად ჩაგვეთვალოს, ან სხვამ მიისაკუთროს.

აქვე გაგაცნობთ ხსენებულ სოციალურ ქსელში ნუგზარ ასათიანის მიერ განთავსებულ შესაბამის სტატუსს და თქვენ თვითონ განსაჯეთ, ეკუთვნის თუ არა სს „ოპპას“ ასეთი ანტირეკლამის შემცველი სათაური: ოპა! არ ენდოთ „ოპპას“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატებს!!! ჩვენი აზრით, ეკუთვნის თუნდაც იმის გამო, რომ არც თუ იშვიათად არ აქვს ქვითრები.

„გადახდის აპარატები მთლად კარგად რომ ვერ მუშაობს, ამაში ერთი თვის წინ დავრწმუნდი. „ენერგეპროჯორჯიას“ ოზურგეთის ოფისში სს „ოპპას“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატში ნომრით **NOVB**1353, 2019 წლის 11 სექტემბერს გადავიხადე ელექტრონერგიის გადასახადი. აპარატმა ქვითარი არ დამიბრუნა, თუმცა გადახდა დაადასტურა (ასეთი რამ ადრეც მომხდარა).

28 სექტემბერს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ოფისიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ გახარჯული ელექტროენერგიის საფასური გადაუხდელი მქონდა.

მეორედ მომიწია ელექტროენერგიის საფასურის გადახდა. ამის შემდეგ, ცხელი ხაზის საშუალებით, დავუკავშირდი სს „ოპპას“ ოფისს. მომცეს ცნობა, თუ ვის შეიძლება ესარგებლა ჩემი გადახდილი თანხით. მით უმეტეს, იმ პიროვნებას სექტემბერში ორჯერ ჰქონდა ელექტროენერგიის საფასურის ტრანზაქცია განხორციელებული „ოპპას“ კონკრეტულ სწრაფი ჩარიცხვის აპარატზე. მათ შორის 11 სექტემბერს ჩემ მიერ გადახდილი თანხის ოდენობა ფიქსირდებოდა.

მოქ. დ.პ-ს დღეს,(10 ოქტომბერს) 11 საათსა და 22 წუთზე დავუკავშირდი, ავუხსენი სიტუაცია და ვკითხე, რა იყო მიზეზი, რომ სექტემბერში ნაწილ-ნაწილ გადაიხადა თანხა?

იგი აშკარად დაბნეულად მპასუხობდა, თუმცა საბოლოოდ მითხრა, რომ მას იმდენი თანხა ჰქონდა გადახდილი, რაც მოცემულ ამონაწერში იყო დაფიქსირებული.

დ. პ–ს სინდისზე იყოს ეს თანხა, მაგრამ ფაქტია, რომ „ოპპას“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატები ხანდახან „ახალტურებენ“ თურმე.

.შ. როგორც „ენერგო პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრში დაგვიდასტურეს მოქ. დ. პ. ოზურგეთის ელექტროქსელში მუშაობდა და მოსახლეობიდან ელექტროენერგიის გადასახადებს კრეფდა“...

არაფერს ვამტკიცებთ და არავის ხელს არ ვადებთ, ასათიანის თქმით, დაკარგული თანხა იმდენად მცირეა, არ ღირს ამად, უბრალოდ ამ .შ–მა ერთი რამ გაგვახსენა: 1983 წელს ოზურგეთელი ახალგაზრდები საზღვაო კრუიზში ვიმყოფებოდით გემით „მიხეილ სუსლოვი“. ერთ–ერთი კაიუტის წინ სათამაშო აპარატი იდგა, დღეში რამდენჯერმე ჩამოუვლიდა ამ აპარატს გემის ერთ–ერთი ტექნიკოსი, რომელსაც ეკიპაჟის წევრები ზედმეტსახელად „სუსლიკს“ ეძახდნენ, მიიხედ–მოიხედავდა, როცა დარწმუნდებოდა, არავინ უყურებდა, რაღაცნაირად შეუყოფდა ხელს აპარატს და ჟეტონებს ჩამოაჩხიალებინებდა. გასკდა მალე ეგ ამბავი, თურმე ამ ჟეტონებით ეს „სუსლიკი“ რუბლებს ანაღდებდა...

სითბოთი და სიყვარულით გამორჩეული დღე

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ ჩვეული ტრადიციით მასწავლებლის საერთაშორისო დღე იუბილარ, ღვაწლმოსილ პედაგოგებს საზეიმო განწყობით, თბილი გულით, გულწრფელი სიყვარულით შეკვეთილის ულამაზეს გარემოში, სასტუმრო „პარაგრაფში“ მიულოცა.

ჩვენ ვამაყობთ ამ ადამიანების ფასდაუდებელი ღვაწლით, რამეთუ მათი სახით ჩვენს ახალგაზრდობას ჰყავს სამაგალითო მისაბაძი ადამიანები.

მადლობას ვუხდით უანგარო და სამაგალითო შრომისათვის, განსაკუთრებული ნიჭისათვის, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულისათვის.

უფალმა შეაძლებინოს თითოეულ პედაგოგს კვლავაც ემსახურონ მომავალი თაობის აღზრდას და კვლავაც დარჩნენ პედაგოგის სახედ.

იყიდება,

საკარმიდამო ნაკვეთი, ოროთახიანი საცხოვრებელი სახლით. ბუნებრივი აირი მიყვანილია ჭიშკრამდე. ეზოში არის წყარო (საცივი). 2700 კვ. მ. ნაკვეთზე გაშენებულია ხეხილი, თხილი, ვენახი. ცენტრალური გზიდან ეზომდე მიდის ბეტონის კაპიტალური გზა.
(ფასი შეთანხმებით).
მისამართ: ქ. ოზურგეთი (ექადია) თაყაიშვილის 61.
დაგვიკავშირდით: 599 94 61 62 (იკითხეთ მურთაზი)

იოსებ მეგრელიძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

5 ოქტომბერს, ჩოხატაურის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში პროფესორ იოსებ მეგრელიძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გაიმართა.

სესიის ორგანიზატორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი.

სესია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ირაკლი კუჭავამ** გახსნა.

„ღირსეული თანამემამულე –იოსებ მეგრელიძე“ მოხსენება წარმოადგინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორმა **მარიკა შოშაშვილმა,** რომელიც იმავდროულად სესიის წამყვანიც გახლდათ.

მოხსენებებით „პროფესორ იოსებ მეგრელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა,“ „პროფესორი იოსებ მეგრელიძე და აკადემიკოსი ნიკო მარი“, „იოსებ მეგრელიძის დაპირისპირება საბჭოთა ენათმეცნიერებაში,“ „იოსებ მეგრელიძე და ექვთიმეთმცოდმეობა“ მოხსენებები წარმოადგინეს პროფესორებმა **ნესტან სულავამ, იზა ჩანტლაძემ, თინათინ ბოლქვაძემ**, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა რუსლან ურუშაძემ, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა დოდო დონაძემ წაიკითხა წაიკითხა ექვთიმე თაყაიშვილის წერილი იოსებ მეგრელიძესადმი.

მოგონებებით გამოვიდნენ:, აკადემიკოსი **რევაზ ბალანჩივაძე;**პროფესორი **მარიკა ჯიქია;** მწერალი **ერეკლე საღლიანი;**ფაზისის აკადემიის ვიცეპრეზიდენტი **რევაზ თედორაძე;** ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან გოდერძიშვილი;** ნიკო მარის შთამომავალი **ალექსანდრა მარი;** ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **იოსებ მეგრელიძე;**მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი **რუსუდან კალანდაძე;**ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ნათია კალანდაძე;**ი ოსებ მეგრელიძის შვილი, ხელ-ოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქარ-თველოს საპატიო ჟურნალისტი **გუბაზ მეგრელიძე.**

სამეცნიერო სესიის მონაწილეები სოფელ დაბლაციხეში აკადემიკოს ნიკო მარის სახლ-მუზეუმსაც ესტუმრნენ.

მინისტადიონი სოფელ ბოხვაურში (ჭალა)

სოფელ ბოხვაურში (ჭალა) მინი სტადიონი მოეწყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პროექტი, რომლის ღირებულება 2 732 ლარს შეადგენს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

მოეწყო ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის მოედანი.

ბოხვაურელებმა (ჭალა) ახალ სტადიონზე უკვე პირველი სპორტული ღონისძიებები გამართეს.

დავით–გარეჯი საქართველოს

ჩემო კეთილო მკითხველო უწმინდესი ილია მეორე ასეთ წერილს აქვეყნებს:

„მოგესალმებით პატივისცემით და მოგმართავთ ჩვენი აზრით მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გამო. საქმე ეხება ორ მნიშვნელოვან მონასტერს - უდაბნოს და ჩიჩხიტურს . იურიდიულად და კარტოგრაფიულად ყველაფერი ნათელია. საქართველოს ხელისუფლებას აზერბაიჯანის მხარესთან 1938 წლის 5-7 მარტს და 1996 წლის 13 ივნისს ორმხრივად მიღწეული აქვს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო საზღვარი უნდა გაივლოს 1936-1938 წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული 1:200 000 მასშტაბის რუკის მიხედვით. ორმხრივად აღიარებული ამ რუკით უდაბნოს და ჩიჩხიტურის მონასტრები საქართველოს ტერიტორიაზეა დაფიქსირებული (განსხვავებით ბერთუბნისა, რომელიც ასევე გარეჯის განუყოფელი ნაწილია, აზერბაიჯანის მხარეს არის მოქცეული). ამიტომაც იყო, რომ 1991 წლის 21 აპრილის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის № 315 დადგენილებით დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე გამოთავისუფლებული პოლიგონის ფართობი (იქ, სადაც მონასტრები მდებარეობს), სხვა მიწასთან ერთად, საკუთრებაში გადმოეცა საქართველოს საპატრიარქოს. ეს საკუთრება სამართლებრივად კიდევ უფრო განმტკიცდა 2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით, სადაც ვკითხულობთ: ყველა ტაძარი და მონასტერი და მიწა, რომელზეც ისინია განლაგებული, აღიარებულია ეკლესიის საკუთრებად (7,1).

ამიტომაც, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია აზერბაიჯანული მხარის ის ქმედებები, რომლითაც უდაბნოს და ჩიჩხიტურის მონასტრები 2019 წლიდან ფაქტობრივად ჩამოგვართვეს და იქ სრულიად შეზღუდეს მომლოცველებისა და ტურისტების, ასევე სასულიერო პირების ასვლა.

გამოდის, რომ ამდენი ხნის რეალობა წელს ყოველგვარი ლოგიკის გარეშე შეიცვალა, რასაც ჩვენ ვერ შევეგუებით“.

უწმინდესის ამ წერილს მე, მხოლოდ დავამატებდი: ლენორმანი, ედუარდ დე მოლისი, შარლ დე შოლე, ლ. მორიერი, იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახი, ჰეგელი, ილია სერებრიკოვი და ბევრი სხვა ცნობილი ისტორიკოსი, მოგზაური, მწერალი ფილოსოფოსი თუ ანტროპოლოგი ასაბუთებენ, რომ კავკასიურ რასას მიეკუთვნებიან მხოლოდ ქართველები, სხვა ყველა დანარჩენი მოსახლენი არიან მოსულები კავკასიის ტერიტორიაზე და შეითვისეს ქართველური ტომების კულტურა. ამდენად, როცა საუბარია ტერიტორიის კუთვნილობაზე, ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს უნდა ამ მეცნიერების გამოკვლევა წარვუდგინოთ, ხოლო როცა საუბარია კულტურაზე უნდა ავუხსნათ, რომ იბერიული კულტურა მოიცავს მთელ ხმელთაშუა ზღვას და ირლანდიას. ბერძნებმა და იტალიელებმა უკვე აღიარეს ეს ფაქტი და აღიარეს ისიც, რომ სანტორინის კუნძულზე შექმნილი ცივილიზაცია პროტოქართველების მიერაა ჩამოყალიბებული. ბოლო გამოკვლევებმა ისიც დაამტკიცა, რომ არარატის მთა და მასთან დაკავშირებული ნოეს მითი იბერიული ფესვებისაა.

და, კიდევ დავით–გარეჯი წმინდა ქრისტიანული ალაგია და, შესაბამისად, ის არ შეიძლება მივაკუთნოთ მუსულმანურ ძეგლს. ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ: მონასტერი VI საუკუნეში დააარსა 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა – წმინდა დავით გარეჯელმა. წმიდა დავითი გარეჯის მთის ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა და აქ შექმნა პირველი მონასტერი, რომელსაც დღეს წმიდა დავითის ლავრა ეწოდება. ამავე საუკუნეში მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა დააარსეს კიდევ ორი სამონასტრო განშტოება: დოდომ – დოდოს რქა, ხოლო ლუკიანემ – ნათლისმცემელი. დავით გარეჯის მონასტრების შემდგომი აყვავება-განვითარება IX საუკუნის წმიდა მამის – ილარიონ ქართველის სახელთანაა დაკავშირებული. მან გააფართოვა და გადააკეთა წმიდა დავითის მიერ გამოკვეთილი ეკლესია, ხოლო შემდგომ კი წმიდა მეფის – დავით აღმაშენებლის ძემ – დემეტრემ (ავტორი საგალობელისა „შენ ხარ ვენახი“).

ალბათ ამაზე უნდა დასრულდეს ყველა დავა – დავით–გარეჯი ქართული კულტურის მემკვიდრეობაა.

ვაჟა კაკაბაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ–გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ–კორესპოდენტი, მწერალი

გლეხთა აჯანყებები გურიაში 1862 წელს

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

გაგრძელება, დასაწყისი გაზეთი „ალიონი“ №34



3.სამოქალაქო გუბერნატორის ბრძანების შემდეგ ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ მონასტრიდან შემოქმედში რამდენიმე ქალი და უიარაღო მამაკაცი ჩავიდა. იზიუმსკიმ ყველა გლეხის განიარაღება და ერთად შეკრება მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკი სასჯელით იმუქრებოდა. ამბოხებულებმა იარაღი მონასტრის ეზოში დატოვეს და სოფელში ჩავიდნენ. გლეხები სამოქალაქო გუბერნატორს თავადებისა და აზნაურების მხრიდან ძალმომრეობასა და უკანონობაზე უყვებოდნენ. ამბოხებულებს ისიც აღიზიანებდათ, რომ მათი საჩივრები მიზანს ვერ აღწევდა. იზიუმსკის თავადებისა და აზნაურების გამართლება არ დაუწყია, მაგრამ გლეხებს მთელი კატეგორიულობით განუცხადა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ასეთი უკიდურესი ნაბიჯი არ უნდა გადაედგათ. ბოლოს გუბერნატორმა მათ ოჯახებში დაბრუნებისაკენ მოუწოდა, ხოლო მონასტერში დატოვებული იარაღი ოზურგეთში გადაატანინა;

4. შემოქმედში ვითარების განმუხტვის შემდეგ ანდრიან იზიუმსკიმ ქვეითი ჯარის ერთი ასეული სოფელ გოგორეთში გასაგზავნად გაამზადა. გოგორეთისაკენ ჯარი 11 აგვისტოს უნდა დაძრულიყო.

1862 წლის 11 აგვისტოს ანდრიან იზიუმსკიმ მეორე მოხსენება გაუგზავნა გრიგოლ ორბელიანს. სამოქალაქო გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, **შემოქმედელი, მაკვანეთელი** და **ლიხაურელი** გლეხები თავს იყრიდნენ სოფელ **გურიანთაში,** ხოლო სოფელ **კახაურის** გლეხები თავად იასე გურიელის კუთვნილ სოფელ **ბასილეთში** აპირებდნენ გადასვლას. ამ ცნობების მიღების შემდეგ იზიუმსკის გოგორეთში მაზრის უფროსის თანაშემწე **ბაქრაძის** მეთაურობით ქვეითი ჯარის ასეული და 25 კაზაკი გაუგზავნია. იმავდროულად კახაურიდან ბასილეთში მიმავალ გზაზე რუსეთის ჯარის პიკეტები დაუყენებიათ. ოზურგეთში ჩავიდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ნიკოლაი კოლიუბაკინი, რომელიც იმავე დღეს ჩოხატაურისაკენ გაემგზავრა.

1862 წლის 11 აგვისტოს გურიის ყველა სოფელში სიმშვიდემ დაისადგურა. იმავე დღეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ნიკოლაი კოლიუბაკინმა ჩოხატაურიდან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროს კრუზენშტერნს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: "საქმე გაზვიადებული იყო. ჯარის გამოყენება საჭირო არ გახდა. ამისათვის არანაირი აუცილებლობა არ ჩანდა. გურიაში დავრჩები რამდენიმე დღე".როგორც ვხედავთ, კოლიუბაკინი 1862 წლის აგვისტოს დამდეგს დაწყებულ გლეხთა მღელვარებას მნიშვნელოვან მოვლენად არ აღიქვამდა და თვლიდა, რომ იგი განგებ გააზვიადეს. მიუხედავად ამისა, გენერალ-გუბერნატორმა 12 აგვისტოს, დილის 6 საათზე ოზურგეთიდან კრუზენშტერნს მეორე დეპეშა გაუგზავნა. კოლიუბაკინი ბოდიშს იხდის, რომ პირველი დეპეშით მან ამაოდ დაამშვიდა მთავარმმართველობის უფროსი: „გუშინ ოზურგეთში მისვლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საქმე რთულადაა. ეს აფეთქება კი არა, შეთქმულება იყო. იმედი მაქვს, საქმეს მოვაგვარებ, მაგრამ იქნება დავიდარაბა."

ნიკოლაი კოლიუბაკინმა მართლაც მალე მოახერხა საქმის „მოგვარება". თუ რა მოიმოქმედა გენერალ-გუბერნატორმა, 1862 წლის აგვისტოში თბილისში გაგზავნილი დეპეშებიდან და მოხსენებებიდან არ დგინდება. სამაგიეროდ, ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალა დაცულია 1862 წლის 1 ნოემბერს კოლიუბაკინის მიერ კრუზენშტერნისადმი გაგზავნილ მოხსენებაში. გენერალ-გუბერნატორი წერდა: "მეამბოხეთა მეორე ბრბო (იგულისხმება სოფელ გურიანთაში თავმოყრილი ავჯანყებულები –ვ. გ.) უფრო მედგარი გამოდგა. მის მიერ დაკავებული პოზიციების გარშემო, სხვა, ჯერ არავჯანყებულ, სოფლებთან კავშირის შეწყვეტის მიზნით განლაგებული იქნა ჯარის ნაწილები და სახელმწიფო გლეხთა რაზმები. მეამბოხეთა წინააღმდეგობის გატეხის მიზნით მე მივუგზავნე მათ ჩემთან მყოფი არტილერიის პორუჩიკი თაეადი **შერვაშიძე** და დავავლე მას გლეხები დაეყოლიებინა, რომ დაგვმორჩილებოდნენ. ბრბო დაიშალა და მეორე დღეს ყველანი, მცირე გამონაკლისის გარდა, ჩემთან, ოზურგეთში გამოცხადდნენ, სადაც წინა დღით გამოცხადდნენ პირველი ბრბოს (იგულისხმება შემოქმედის მონასტრის გალავანში შეკრებილი ამბოხებულები –ვ.გ.) წევრები. მე დავაპატიმრე ხუთი მოთავე, ხოლო შემდეგ დაპატიმრებული იქნა კიდევ სამი კაცი."

ნიკოლაი კოლიუბაკინის 1862 წლის 1 ნოემბრის მოხსენებიდან არ ჩანს, როდის მოხდა ზემოთ აღწერილი ამბავი. მოხსენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გურიანთაში გლეხთა განიარაღება ან 1862 წლის 1 ნოემბერს, ან წინა დღეებში უნდა მომხდარიყო, რაც სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება. ერთ-ერთი დოკუმენტიდან, რომელიც 1862 წლის სექტემბრის დამდეგს ეკუთვნის, დგინდება, რომ ამ დროისათვის გურიაში ამბოხებულთა განიარაღება უკვე დასრულებული იყო. კრუზენშტერნი კოლიუბაკინს გრიგოლ ორბელიანის სახელით ავალებდა, რომ, მიუხედევად ამბოხების ლიკვიდაციისა, გლეხებისათვის თვალყური მუდმივად უნდა ედევნებინა და ვითარება დროდადრო ეცნობებინა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებლისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ გურიანთაში ამბოხებულთა განიარაღება 1862 წლის აგვისტოს შუა რიცხვებიდან თვის ბოლომდე, უფრო ზუსტად, აგვისტოს ბოლოს მოხდებოდა.

ნიკოლაი კოლიუბაკინის 1862 წლის 1 ნოემბრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მისი ბრძანებით 8 გლეხი შეიპყრეს. ამბოხების მოთავეებად მიჩნეული იყვნენ: **მაქსიმე ღლონტი, ალექსანდრე მამულაიშვილი, მაქსიმე სადრაძე, გოგია მამინაიშვილი, ლევან მალაზონია, ნიკოია ბაქანიძე, ივანე გუჯაბიძე, ანტონ მოისწრაფიშვილი.** გლეხები თავდაპირველად ქუთაისის ციხეში მოათავსეს, ხოლო 1863 წლის იანვარში ისინი, ავადმყოფი ივანე გუჯაბიძის გარდა, კოლიუბაკინის განკარგულებით თბილისის ციხეში გადაიყვანეს. მოგვიანებით დააპატიმრეს ამბოხების ერთ-ერთი მოთავე სოფელ ჩოჩხათიდან – **მინა ტულუში,** რომელიც ასევე თბილისის ციხეში გადაიყვანეს.

(გაგრძელება იქნება)

ვასტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1919წ. გვ. 86-87)

ხსოვნა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს №5 საჯარო სკოლის პედაგოგს, სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ნანა სარიშვილს უსაყვარლესი ძმის, **ზაზა სარიშვილის** გარდაცვალების გამო.

შალვა დადიანი გარდაიცვალა

გასული საუკუნის 80-იანი წლებია, ანასეულში, ჟურნალ ,,სუბტროპიკულ კულტურებში'' მუშაობა ახალდაწყებული მაქვს. მთავარი რედაქტორის მოადგილე, სულცხონებული გერმანე ანდღულაძე და მე ერთ სამუშაო ოთახში ვსხედვართ. კარზე კაკუნის ხმა ისმის, შემოდის ერთი ძალიან გამხდარი, სიფრიფანა, პირხმელი კაცი, ხელში საქაღალდე უჭირავს და მორიდებით გვესალმება. ბატონმა გერმანემ ხელი ჩამოართვა და ჩემსკენ გადმოამისამართა.

— შალვა,— გამეცნო სტუმარი, საქაღალდიდან რემენგტონზე ნაბეჭდი თაბახები ამოიღო, იმედია, დამიბეჭდავთო, — გვითხრა და თავაზიანად დაგვემშვიდობა.

შემოსულ მასალას გადავხედე, ბოლო გვერდზე თანაავტორის ავტოგრაფში გვარი ვერ ამოვიკითხე და ბატონ გერმანეს ვკითხე, შალვა რა გვარია-მეთქი.

— ეს ჩვენი შალვა დადიანია,— ღიმილით მიპასუხა.

ამ დღიდან მახსოვს წარმოშობით მეგრელი, ანასეულის სამეცნიერო დაწესებულებებში მოფუსფუსე შალვა დადიანი, რომელიც ანასეულელებმა გასულ კვირას გააცილეს სამარადჟამოში.

თითქმის ნახევარი საუკუნე ერთგულად, წყნარად ემსახურა ეს მარტოხელა კაცი თავის საყვარელ და ჩვენთვის აუცილებელ საქმეს — სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებას. არ იდგა იმ ბუმბერაზთა შორის, ვინაც, რომ იტყვიან, დარგში გადატრიალება მოახდინა, მაგრამ, სხვა რომ არაფერი, შალვა იყო დადიანი.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს!

თემურ მარშანიშვილი.

გივი სიამაშვილმა ჩემპიონის ტიტული დაიცვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საჩოგბურთო პირველობა დასრულდაჩემპიონის ტიტული დაიცვა გივი სიამაშვილმა, რომელმაც დამბულ სამსეტიან ბრძოლაში (5-7 6-2 6-2) სძლია მამუკა კილაძეს. ფინალური მატჩი იმსაჯეს გოგი მამალაძემ და მისმა ასისტენტებმა დავით გოგოტიშვილმა ,გივი ვაჩეიშვილმა და დავით მძიმედ დაიწყო სეტი სიამაშვილმა.ის 0- 2 ზე ჩამორჩა მეტოქეს .მართალია მოახერხა ანგრიშის გათანაბრება, მაგრამ პირველ სეტში იგრძნობოდა კილაძის უპირატესობა. .სეტის მიწურულს სიამაშვილმა 5-4 დაწინაურება მოახერხა, მაგრამ კილაძემ მოიგო საკუთარი მოწოდება, შემდეგ აიღო ბრეიკი .5-6 ზე სიამაშვილს ორმაგი ბრეიკპოინტი ჰქონდა და შეეძლო სეტის ტაიბრეიკში გადაყვანა ,მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა.საბოლოოდ 7-5 კილაძის სასარგებლოდ.

გივი სიამაშვილი შეეცადა მეორე სეტში მწვავე დარტყმებით ეპასუხა. ის ბოლოს და ბოლოს სასურველი ფორით მოწყდა მეტოქეს. მესამე სეტში სიამაშვილი 3-1 დაწინაურდააქ კილაძემ სხვაობა შეამცირა,შემდეგ გეიმში აღმოფხვრა 15-40-იანი ჩამორჩენა., თანაბარზე გაიჭრა წინ, მაგრამ სწორედ აქ დააკლდა ერთი ზუსტი დარტყმა ანგარიშის გასათანაბრებლად. .პრაქტიკულად ამ გეიმის აღებით გადაწყვიტა მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ.2-5 ზე ჩამორჩენისას კილაძემ მეტოქის სამმაგი „ჩემპიონ პოინტი მოიგერია, მაგრამ „თანაბარზე ისევ ჩამორჩა მეტოქეს. აშ-კარა იყო,რომ სიამაშვილი,მომდევნო „ჩემპიონ-პოინტზე ის მეტოქის შეცდომას დაელოდა,გათამაშებისას კილაძის დარტყმული ბურთი კორტებს გარეთ „აუტში გადავიდა და გივი სიამაშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საჩოგბურთო პირველობის გამარჯვებული გახდა.

ფინალისტებს მატჩის შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილების მიერ დაწესებული სამახსოვრო სიგელები და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დაწესებული მედლები გადაეცათ.

ფინალისტები პირადად დააჯილდოვეს საკრებულოს დეპუტატმა **დავით მღინარაძემ** და სპორტულ გამჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე **რევაზ ჭელიძემ**.

სკანვორდი





№ 34-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ნინელი ჭანკვეტაძე; დაბა გალის მუნიციპალიტეტში — სიდა; წვეულება — ნადიმი; ერთი მეგრულად — ართი; ელექტროხელსაწყო — რელე; პირველი რიცხვი — ათი; მშობელი — მამა; ამორტიზებული რკინეული — ჯართი; ძალიან დიდი — დიადი; მეტყველების ორგანო — ენა; გრაფიკი — სია; ბოსტნეული — ქონდარი; სისხლში საზღვრავენ — როე; ... კინი — როი; ტბა თბილისში — ლისი; აღმოსავლური ორთაბრძოლა — კარატე; ნისლიანი ქვეყანა — ინგლისი; ქალის სახელი — ამალია; შემოქმედებითი ჯგუფი — დასი; „მამის მკვლელის" პერსონაჟი — ნუნუ; ქართული ზღაპარი — ჭინჭრაქა; ღვინის და არყის გამყიდველი — სირაჯი; დედა აჭარულად — ნენე; წყლის საველე ჭურჭელი — მათარა; გრამატიკული კავშირი — და; ხმოვანი სიგნალი — სირენა; ნოეს მთა — არარატი; კატის ზედმეტსახელი — ციცა; პირველი კოსმონავტი — გაგარინი; ციხდალი — კხუტი; სოკოს სახეობა — ქამა; მტაცებელი ფრინველი — ძერა; პანღური — ჭიტლაყი; კურორტი შავიზღვისპირეთში — ანაკლია; სასმისი — ჭინჭილა; სასიმინდე — ნალია; ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი — ვავა; აქ გურულად — აქანე; ფიუნესის სახელი — ლუი; ხმამაღლა ლაყბობა - ყრანტალი; მეხუთე ასობგერა — ე; მამაკაცის სახელი — რატი; შინაური ფრინველი — ციცარი; ერთგვარი ჭამა — კნატუნი; კამათი — დავა.

თოფი მაჭახელა

თოფი წარმოდგება თურქული სიტყვა თუფანგისაგან, ქართულად ხელმეხი ეწოდება. თოფი ცეცხსასროლი იარაღის ტიპია, შედგება: კონდახი, ჩახმახი, ლულის, ზუმბის და საპირისწამლესაგან.

ისტორიული დოკუმენტები ცეცხლსასროლი იარაღის წარმოშობას XIV საუკუნის პირველი ათწლეულით ათარიღებენ. არაბული წყაროებით XIII საუკუნეში არსებობდა არაბული ცეცხლსასროლი იარაღი „მოდფა“. ქართული წერილობით წყაროებში ცეცხლსასროლი იარაღი მოხსენიებულია XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თემურ-ლენგის ლაშქარი იყენებდაო ე.წ. „რადანდაზებს“.

თოფები განვითარების მიხედვით შემდეგნაირია :ფილთიანი,გორგოლაჭიანი, კაჟიანი, ფისტონიანი, სახაზინო დასატენი ნემსიანი.

საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში, ფილთიანი(პატრუქიანი) თოფები თითქმის არ იწარმოებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა (ძირითადად წარჩინებულებები) იყენებდნენ ოსმალეთიდან შემოტანილ ცეცხლსასროლ იარაღს.

XVII-XVIII საუკუნებიდან საქართველოში,ზოგადად, კავკასიაში ყალიბდება კაჟიანი თოფის კავკასიური ტიპი ,რომლის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თურქულმა ცეცხლსასროლმა იარაღმა. ამ პერიოდში საქართველოში გვხდება სხვადასხვა დასახელების კაჟიანი და ფისტოიანი თოფები. აკეთებდნენ: სიათა, მაჟარი, ოსტამბული, მაჭახელა, თოფხანე, ნალფარა, ერჯიმი ,ბაზალა, ჯაზაირი, ხარა, ჩარმა, ხორასანი, ქოფაჩი, ფილთა, არშავიანი, ბურა, ძეგლივი, თუგანი, ხირიმი, ყარაბინი, იყო ასევ უნგრული და ინგლისური თოფები.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოიგონეს კაფსული და ნემსიანი ჩახმახი.

თოფი მაჭახელა მაჭახელის ხეობაში მზადდებოდა. მაჭახელი-მიჭიხიანი ისტორიული მხარეა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამჟამად მაჭახელი ორადაა გაყოფილი, მდ.მაჭახელის დინების ზედა ნაწილი თურქეთის საზღვრებშია, ქვედა - საქართველოში. მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას შესართავთან მარცხნივ მაჭახელას ხეობას შეუყვებით, გზად ერთი უცნაური ძეგლი შეგხვდებათ - მაჭახელის მცხოვრებლებმა მაჭახელას თოფს ძეგლი დაუდგეს. აჭარაში კაჟ-ჩახმახიან თოფებსა და დამბაჩებს რამდენიმე ადგილას ამზადებდნენ,თოფით განთქმული მაჭახელას ხეობა იყო. მაჭახელას თოფი მაჭახელას ხეობაში არსებულ სამჭედლოებში მზადდებოდა. სამჭედლოები სოფელში ყოფილა განთავსებული, ხელობის მემკვიდრეობით გადაცემა მამიდან შვილზე ჩხუტუნეთში დღემდე შემორჩენილი პრაქტიკაა. მაჭახელის ხეობაში განთქმული მჭედლები ყოფილან: ნაგერვაეები, ძნელაძეები და ქავთარაძეები.

ზემო ჩხუტუნეთი ის ადგილია, სადაც ყველაზე მეტი სამჭედლო იყო და „დაიბადა“ მაჭახელას თოფი.

„თოფი 30-40 მეტრის მანძილზე ისროდა, უფრო მეტად საფანტი გამოიყენებოდა. ლულიდან ჯერ ჩაყრიდნენ დენთს მერე - საფანტს, კონდახთან იყრებოდა კაფსოლი, მერე დაასხლეტდნენ და თოფი გავარდებოდა“ (ვასო ძნელაძე, ზემო ჩხუტუნეთი).

„თოფი მაჭახელა სალიხ ძნელაძემ გამოიგონა, ამას ადასტურებს ზედა ჩხუტუნეთში მცხოვრები ხანდაზმული ხალხი, დღემდეა შემორჩენილი სალიხის შთამომავლების მიერ გაკეთებული სამჭედლო“ (დავით ძნელაძე).

ზუსტი, დადასტურებული ცნობები, თუ როდის დაიწყო მაჭახელის ხეობაში იარაღის წარმოება, არ მოიპოვება. სხვადასხვა ისტორიული ცნობებით, მაჭახელის ხეობაში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში იარაღის წარმოება უკვე კარგად ყოფილა განვითარებული.

ფრანგი მოგზაური ჟან მურიე, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოს იმოგზაურა აჭარაში, წერდა,რომ ქედის ბაზრობაზე მოსახლეობას მაუდის, კარაქის, ხილის და სხვადასხვა ნაწარმთან ერთად, გასაყიდად ჰქონდათ გამოტანილი თოფის ლულები.

სხვადასხვა ცნობით, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში მაჭახელას ხეობაში სამხედრო იარაღის 30-მდე მჭედელი ყოფილა. თოფი მაჭახელა ცნობილი იყო მთელ კავკასიაში და ყირიმში დამზადებულ თოფზე წინაც მდგარა. მაჭახელა თოფი პოპულარული იყო იმერეთში, ფშავსა და გურიაში. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა დაიპყრეს აჭარა, მაჭახელას თოფით დაინტერესებულან ოსმალო დიდგვაროვნები და ამბობენ, რომ სტამბოლში ბევრი ფაშას სახლში შეიძლებოდა მაჭახელას თოფის ნახვაო.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით მაჭახელის ხეობაში დამზადებული იარაღი მთელ ოსმალეთის იმპერიაში იყო განთქმული. „იარაღებში „მაჭახელა“ პირველობდა, ოსმალეთში ყველამ იცოდა მაჭახლური იარაღის მნიშვნელობა. ამიტომ ქებით მოიხსენიებდნენ მაჭახლურ იარაღს მოშაირენი და მელექსენი. შაირებსი თურმე ასე იტყოდნენ:“ მაჭახელა“ ან „სტამბული“ ეი. იარაღი ან მაჭახელის ხეობის უნდა იყოს ან სტამბოლისაო“,- წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

მაჭახელას თოფის დამზადების შესახებ მასალები შესწავლილი და მოკვლეული აქვს პროფესორ ნოდარ კახიძეს. მისი ინფორმაციით, თოფებსა და დამბაჩებს ამზადებდნენ შემდეგ სოფლებში: ზედა ჩხუტუნეთში, ხერთვის-ქავთარეთში, ეფრატსა და ზედა ვაკეში. განსაკუთრებით კარგი ხარისხის იარაღს ამზადებდნენ ზედა ჩხუტუნეთსა და ქავთარეთში. ზედა ჩხუტუნეთში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იარაღის დამზადების კარგი ოსტატები ყოფილან მამა-შვილი და შვილიშვილი ლომან (უსტა ლომან), ხასან(უსტა ხასან) და ახმედ (უსტა ახმედი) ნაგერვაძეები, უსტა ახმედის ხუთი შვილიც მეიარაღე - მჭედელი ყოფილა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ზედა ჩხუტუნეთში ასევე საჩიტე, ანუ ფილთა თოფებსაც აკეთებდნენ. იარაღის ოსტატები ყოფილან ეშრებ უსტა ნაგერვაძე და ყადირ უსტა ძნელაძე. ხერთვის-ქავთარეთში ცნობილი იარაღის მჭედლები ყოფილან ქავთარაძეები,სოფელ გორგაძეთში კი - გორგაძეები.

მაჭახელაში ძირითადად ორი სახის იარაღს ამზადებდნენ - თოფხანეს და ნალფარას. თოფხანე მოსავდებული იყო ვერცხლითა და ძვლით. გადმოცემით თოფებსა და დამბაჩებს ოქრო -ვერცხლითაც ასევადებდნენ. თოფხანე თოფს ხრახნილი ლულა ჰქონდა, რაც ხელს უწყობდა შორს და მიზანში სროლასრაც შეეხება ნალფარა თოფს, მისი ლულა ხრახნილის გარეშე მზადდებოდა .ადგილზე ამზადებდნენ დენთსა და საფანტს, ტყვია კი შემოჰქონდათ.

თოფისა და დამბაჩის ფასსაც შესაბამისად ლულის, ჩახმახისა და კონდახის მორთულობა განსაზღვრავდა. რუსი სამხედრო კორესპოდენტის ლისოვსკის ცნობით,მაჭახელში დამზადებული თოფხანე 75 მანეთი ღირებულა, ნალფარა თოფი კი - 20 მანეთი.

თოფისა და დამბაჩის ლულები მზადდებოდა სპეციალურ დაზგაზე ,რომელსაც „თოფის ჩარხი“ ერქვა. დამზადებული ლულა იხარშებოდა შაბნარევ წყალში, რისთვისაც იყენებდნენ სპილენძის გრძელ ცილინდრისებურ საგანგებო ჭურჭელს, რომელსაც ყუბური ეწოდებოდა. გამოხარშული თოფის ლულა ბზინვარებას იჩენდა და დაჟანგვისაგან იცავდა მათ.

იარაღის სამჭედლოში, როგორც წესი,ორი ან სამი მჭედელი მუშაობდა. ერთ-ერთი აუცილებლად იყო უსტაბაში, ანუ მთავარი ოსტატი,მეორე-მესამე დამხმარეებად ითვლებოდნენ. თოფის დამზადების მთლიანი პროცესი უსტაბაშის მითითებით და მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. მეიარაღეები, მჭედლები საზოგადოებაში დიდი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობდნენ.

ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება მე-19 საუკუნის ბოლოს აჭარაში შემცირდა,ბოლოს კი - შეწყდა. როგორც ამბობენ, იარაღის დამზადების შემცირების ერთ-ერთი მიზეზი საუკეთესო ხელოსნების მუჰაჯირად წასვლაც იყო. ამასთან, საქართველოში ხელმისაწვდომი გახდა ინგლისური, ფრანგული, ბელგიური და რუსული წარმოების იარაღი. თან ეს ეს იარაღი გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე მაჭახელის ხეობაში დამზადებული.

დღეისათვის მაჭახელის ხეობაში დამზადებული თოფის ერთ ეგზემპლარი ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთოგრფიულ მუზეუმში. თოფი 1881 წელს მადრიდში მცხოვრებ მაიორ ახმედ ეფენდი ხალვაშს უჩუქებია გურიის ქვეითი რაზმის უფროსისთვის ,პოლკოვნიკ ერმალო ნიჟარაძისთვის. თოფი, ხანჯალთან ერთად, ერმალო ნიჟარაძეს 1919 წელს მუზეუმისთვის გადაუცია.

მაჭახელას თოფის ოთხი ეგზემპლარი „თოფი მაჭახელა“ საინვენტარო 1 შემოსული 1936 წელს ვინმე გობრონიძისაგან, საინვენტარო 2 შემოსული 1937 წელს გიორგი სალუქვაძისაგან, საინვენტარო – 421 შემოსულია 1936 წელს ლომთათიძისაგან საინვენტარო 2392 შემოსული 1975 წელს მახარაძის მილიციის თანამშრომელ შელსონისაგან, ინახება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში, ნამდვილად არის თუარა ეს თოფები მაჭახელას ხეობაში დამზადებული, საჭიროებს ექსპერტიზას.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი.

<u>მეფუტკრეთა დასახმარებლად</u>

როგორ დავაზამთროთ ფუტკარი

ზამთარი ყველაზე რთული პერიოდია ფუტკრისთვის. ამ დროს ფუტკრის ოჯახში წყდება აქტიური ცხოველმოქმედება, ფუტკარი გუნდად იკვრება და საკვების მინიმალური ხარჯვით ინარჩუნებს არსებობისათვის საჭირო ტემპერატურასა და ტენიანობას. მეფუტკრის მიერ დაშვებული შეცდომები ზამთარში ძნელად გამოსწორებადია და ამიტომაც, სეზონის შესაბამისად, ყველა ის აუცილებელი სამუშაო პროცესი დროულად და ხარისხიანად უნდა იქნეს შესრულებული.

ფუტკრის ოჯახის ბუდეების შედგენისას ვხსნით საკუჭნაოებს და კორპუსებს.

გამოზამთრებისთვის, ფუტკრის ოჯახების ბუდეების შედგენისას, საჭიროა ყურადღება მიექცეს საკვების მარაგსა და ხარისხს, ასევე დედა ფუტკრის არსებობას და ხნოვანებას.

შემდეგ ფუტკრის ოჯახის ბუდის შუაგულში უნდა მოვათავსოთ კარგი ხარისხის თაფლიანი ფიჭები, სასურველია მუქი ყავისფერი, რადგანაც ასეთი ფიჭები სითბოგაუმტარია.

ბუდის შუაგულში არ უნდა დავტოვოთ ჭეოთი გადატვირთული ფიჭა, რომელზეც თაფლი ცოტა იქნება. ასეთი ფიჭა დარჩება ტიხარივით და შეიძლება ოჯახი ორად გაყოს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფუტკარს არ დავუტოვოთ დაუსრულებელი (ნახევრად აშენებული), დეფორმირებული და სამამლიანი ფიჭები, რომელიც ვერ უძლებს მინიმალურ ტემპერატურას და ზედ მსხდომი ფუტკრის დატვირთვას, სიმძიმეს, იღვენთება და იშლება. ფუტკარი ხშირად ასეთ ფიჭებს არ აშენებს და მთლიანად შლის, თავიდან ახალს აშენებს (ზოგჯერ სამამლე დიდუჯრედიან ფიჭებს, დროის მოგების მიზნით). ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და ამაზე ცალკე კონსულტაციები გვექნება.

ყურადსაღებია გამოზამთრებისთვის სწრაფი დაშაქრების უნარის მქონე თაფლი. ჩვენში ასეთ თაფლს სუროს ყვავილი იძლევა. მანანა თაფლი, - რომელსაც ფუტკარი გვალვიან ამინდში იღებს, საზამთროდ ფუტკრისთვის საშიშია. არსებობს ორგვარი მანანა თაფლი – მცენარეული და ცხოველური. ბუდის შედგენისას თუ აღმოჩნდა დიდი ოდენობით თავლია თაფლი, ასეთი თაფლიანი ფიჭები ხარისხიანი (სამარაგო) თაფლიანი ფიჭებით უნდა შევცვალოთ, ან გამოვწუროთ და მარაგი შევავსოთ სქელი სიროპით (მაგალითად 3 კგ შაქარი, 2 ლიტრი წყალი). მანანა თაფლი ადამიანისთვის უვნებელია.

სუსტ ოჯახებს ვათბუნებთ ორმხრივად, ე. ი. ფუტკარს ვათავსებთ სკის შუაგულში. ორივე მხრიდან ვუდგამთ ტიხარს და დასათბუნებელ ბალიშებს როგორც ზემოდან, ისე გვერდებიდან. ასევე აუცილებელია საიმედოდ იყოს დაცული მავნებლებისაგან და წყლისაგან. იყოს მყარ სადგარებზე (გავუკეთოთ სპეციალური სამაგრები თოვლისა და ქარისაგან დასაცავად.). ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საფუტკრე ადგილის შერჩევას და ფუტკრის ოჯახების განლაგებას.

მეფუტკრეობის, ამ უნიკალური დარგის რენტაბელობასა და მის განვითარებაზე, ლაპარაკიც ზედმეტია, თუ არ ვიცნობთ ფუტკრის დაავადებებს და არ ვართ დაუფლებული მათთან ბრძოლის ღონისძიებებს.

ამ ბოლო ხანს ფუტკრის დაავადების საწინააღმდეგო მრავალი ახალი პრეპარატი გამოვიდა. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ შემოთავაზებულ პრეპარატებს შემოწმება (გამოცდა) სჭირდება, რადგან სხვა ქვეყანაში გამოყენებული პრეპარატი ჩვენს პირობებში ხშირად მიუღებელია ან სრულად არ ამართლებს. ამდენად, ბოლო გამოცდა, ლაბორატორია, ჩვენ და ჩვენი ფუტკარია. ამიტომ, პირველად სასურველია, ახალი პრეპარატი გაისინჯოს ერთეულ ოჯახებზე და არა კომლექსურად, მთელ საფუტკრეში.

პრეპარატის შეძენის დროს ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული რეგისტრირებული და სერთიფიცირებულია თუ არა პრეპარატი.

შემოდგომით მკურნალობასა და პროფლაქტიკას ვატარებთ სიდამპლეებზე, ვარვატოზსა და ნოზემატოსზე შემდეგი პრეპარატებით:

სიდამპლეების სამკურნალოდ გამოიყენება ოქსიბაქტოციდი (ფხვნილი), ოქსივიტი (ფხვნილი);

ვარვატოზის საწინააღმდეგოდ – ვარაკომი, თიმოლი (თეთრი ფხვნილი); ეკოპოლი;

ნოზემატოსის საწინააღმდეგოდ – ეკოფიტოლი და აპიმაქსი.

კარგად დაზამთრებული ფუტკრის ოჯახები ზამთრის პერიოდში დიდ მოვლა- პატრონობას არ მოითხოვს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში მას ესაჭირობა სრული სიმშვიდე.

იმისათვის, რომ ჩვენი პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდეს და გავუდგეთ ევროპულ გზას, აუცილებელია დავიცვათ საერთაშორისო ნორმები, უპირველეს ყოფლისა, საფუტკრისა და პროდუქტების სტანდარტები, ტექნოლოგია, მკურნალობის მეთოდები, შიგა ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ინფორმაციების გაცნობა და ცოდნის ამაღლება; სანიტარულ-ესთეტიკურ და უსაფრთხო გარემოზე ზრუნვა. ვიქონიოთ საფუტკრის ჟურნალი და ვაწარმოოთ ნუმერაცია, რაც გაგვიადვილებს შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას.

გისურვებთ წარმატებებს.

ჯანვერდი ცეცხლაძე,

გურიის მეფუტკრეთა კავშირის
თავმჯდომარე.

ვულოცავთ!

ჩვენო ეთერ,
გულწრფელი სიყვარულით და უდიდესი პატივისცემით გილოცავთ განსაკუთრებულ იუბილეს, დაბადებიდან 80 წლის ღირსეულად გასრულებას. თავს ვხრით თქვენი ლამაზი ნაღვაწისა და პროფესიონალიზმის წინაშე. მიიღეთ ჩვენგან საუკეთესო სურვილები, ჯანმრთელობა, მხნეობა, სიყვარული და უშრეტი ენერგია. უფლის შემწეობა არ მოგკლებოდეთ.
დიდი პატივისცემით,
უახლოესი მეგობრები:
როზა, იამზე, ლელა.

გულსუნდა მახარაძეს
ჩვენო გულსუნდა,
გეფერებით, გესიყვარულებით და გილოცავთ დაბადებიდან 77 წელს, რომელიც თქვენ ღირსეულად განვლეთ თქვენს ლამაზ პროფესიასთან ერთად. დღეგრძელობა და მზეგრძელობა დაგბედებოდეთ აწ და მარადის. უფლის შემწეობა და წყალობა არ მოგკლებოდეთ.
უღრმესი პატივისცემით, უახლოესი მეგობრები: როზა, ლელა, იამზე, ნონა.

„წერილი ლიას“ ოზურგეთის სცენაზე

ქეთევან კუკულავა

ოზურგეთის თეატრში მოწვეულმა რეჟისორმა **ელენე მაცხონაშვილმა** რამდენიმე დღის წინ, წარმატებით წარმოადგინა სპექტაკლი „ფიროსმანი,“ ამჯერად კი რეჟისორმა მაყურებელს მეორე სპექტაკლი თამთა მელაშვილის „წერილი ლიას“ შესთავაზა.პრემიერას მორიგი წარმატება ხვდა წილად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხრობის პირველი სცენური ვერსია ოზურგეთის თეატრში განხორციელდა.

სცენაზე მსახიობი **ბელა კიკვაძე** თავისი ჩვეული პროფესიონალური ოსტატობით განასახიერებს ლალის, რომელიც არის ქვრივი, ჰყავს ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, მაგრამ როგორც თავად ამბობს, მთელი ცხოვრება მხოლოდ ოჯახური საქმეებით არის დაკავებული, მისი სულიერი მდგომარეობა დათრგუნულია, თავს მარტოდ გრძნობს, ერთ დღეს კი, გადაწყვეტს, წერილი მიწეროს თავის სიყრმის მეგობარს - ლიას, რომელიც ემიგრაციაში იმყოფება და ყველა მისი გულისტკივილი გულწრფელად გაანდოს.

— ჩემო ლია, ჩემო თვალსაჩინო მეგობარო, როგორ ხარ, გოგო? შენ არ გეგონოს, რომ დამავიწყდი, სულ მახსოვხარ და სულ მემახსოვრები, ჩემს გულში სულ შენ გელაპარაკები, ჩემს გულში გწერ წერილებს. ამ წერილს დოდოს გოგოს ვატან, ისიც საბერძნეთშია, სხვა ქალაქშია, მაგრამ ჩაგდებს ფოსტის ყუთში და ხომ მოვა...

ლალი მეგობარს ახსენებს თავიანთ ახალგაზრდობას, ლამაზ, ლაღ, იმედით აღსავსე დღეებს, როცა ისინი სიცოცხლეს შეჰხაროდნენ და უამრავი ფერადი ოცნებები ჰქონდათ. მათ ერთმანეთის გარეშე ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინათ, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრება არგუნათ და მათი გზებიც გაიყო. ლიას ემიგრაციაში წასვლამ ისინი თითქმის სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს, იმდენად დაშორდნენ, რომ ლია როცა საქართველოში ჩამოვიდა და სასწრაფო ოპერაცია გაიკეთა, ლალის არც კი შეხმიანებია.

— ლია! როგორ არ მითხარი, ოპერაცია რომ გაიკეთე, რომ მცოდნოდა, ყველაფერს მივატოვებდი და შენთან გამოვიქცეოდი. შენები ალბათ თავზე გადგნენ, მაგრამ მეც შენთან ვიქნებოდი. საშვ-ილოსნო ამოგიღეს გოგო და მეორე დღეს ისევ საბერძნეთში გაიქეცი, ასე გადაყოლილი რომ ხარ შენებზე, შენც ხომ უნდა დაგაფასონ. მაგრამ იქნებ იქით არ არის უკვე შენი სახლი, იქნებ უკვე იმათიანი ხარ. 12 წელი პატარა ხომ არ არის. თუმცა ვიცი, რასაც გაქეცი ჩემო ლია, მარტოობას გაექეცი, ვერ გაჩერდი, შეგეშინდა. ვიცი, მესმის, ყველაფერი მესმის შენი. მეც მარტო ვარ ლია ჩემს ოჯახში. დავიღალე ერთი და ივივე საქმის კეთებით, დავიღალე იატაკის წმ-ენდით. 50 წელია, სულ დედა ვარ, ჩემი შვილების და ახლა უკვე, შვილ-იშვილების დედაც ვარ. ჩემთვის არავის სცალია, სამაგიეროდ ტელეფონებში კი აქვთ თავები ჩარგული. ეხ, ჩემო ლია, ისე მინდა სადმე გადაკარგვა. ზოგჯერ ვფიქრობ, ნეტა სადმე სორო იყოს, შევიპარებოდი თაგვივით და ვიქნებოდი ჩემთვის-მეთქი. მარტო ვარ ლია, მარტო ადამიანი ვარ, გესმის?!...

ლალი სააღდგომოდ სოფელში მშობლების საფლავზე მიდის. სოფელი დაცარიელებული, სასაფლაო კი ეკალ-ბარდებით დაფარული დახვდა. აქ მოულოდნელად ბავშვობის მეგობარს რეზოს ხვდება, რომელსაც ახალგაზრდობაში ლია უყვარდა. ამ შეხვედრის სცენას იგი საოცარი მხიარული განწყობით აღწერს და მეგობარს სასიამოვნო მოგონებებს ახსენებს.

— ჩემო ლია! სულ გხედავ სიზმარში, მერე წარმოვიდგენ, რომ მეც შენთან ერთად ვარ, მაგ კარგ ქვეყანაში, ზღვის სანაპიროზე, თეთრი კაბები გვაცვია, მზე ჩადის და ზღვა არის ლურჯი და კამკამა. ეხ, ზღვაზე ორმოცი წლის წინათ ვიყავი, ისიც მანქანიდან დავინახე. მერე, რამდენჯერ მიფიქრია, ზღვაზე გავიპარები-მეთქი, მაგრამ სად წავიდოდი, გოგო, უკვე შვილები მყავდა. ჩამოდი, ლია! ჩამოდი გოგო და ერთად წავიდეთ ზღვაზე. შენთან ერთად მინდა ვიცინო და შენთან ერთად ვიტირო! ეხ ,სად წავიდა ჩვენი ახალგაზრდობა, ლია!

ლალი თავისი დაგროვილი პენსიით, პროთეზის გაკეთებას გადაწყვეტს. ექიმთან მიდის და სტომატოლოგიურ სავარძელში „ტკბილად“ ჩაეძინება, ექიმი კი ამ დროს ბურღით მუშაობს. ივი იმდენად ქანცგაწყვეტილია უდიერი შრომისგან, რომ არავითარ ტკივილს არ გრძნობს და სტომატოლოგის სავარძელი მისთვის კომფორტის ზონად იქცევა...

სცენაზე პარალელურად ორი თოჯინა მონაწილეობს, ისინი პირობითად ლიას და ლალის განასახიერებენ. მსახიობები თეა კეჭაყმაძე, გიორგი დოლიძე, მამუკა ბაბილოძე და გიორგი ჩავლეშვილი თოჯინების მეშვეობით სპექტაკლს სანახაობრივად უფრო საინტერესოდ და შთამბეჭდავად წარმოადგენენ. პატარა შავ დაფაზე კი ერთ-ერთი პერსონაჟი პიესის შინაარსის თანმიმდევრობას ცარცით ხატავს და თითქოს ამ გულუბრყვილო ნახატების გაელვებით მაყურებელი ლიას და ლალის ცხოვრებას თვალნათლივ ხედავს. ინოლა გურგულიას მიერ შესრულებული სიმღერები კი სპექტაკლის ორგანული ნაწილია, რომელიც მსახიობ ბელა კიკვაძის მიერ ხორცშესხმულ პერსონაჟს უფრო მეტ დამაჯერებლობას და სიცხადეს მატებს.

ბელა კიკვაძემ მრავალი ფერით გაამდიდრა ლალის სახე. ივი საოცარი გარდასახვის უნარით დაჯილდოებული მსახიობია, მან შეძლო ტრაგიკული და მსუბუქი კომიკური პასაჟები ერთნაირი სიძლიერით გადმოეცა.რ ომელიც არ გღლის,მაგრამ ჭეშმარიტად დაგაფ-იქრებს ბევრ კითხვაზე. ქალბატონი ბელა იმ მსახიობთა რიცხვს განეკუ-თვნება, რომელსაც ხელეწიფება მაყურ-ებელთან დაამყაროს ემოციური კავშირი და ზუსტად გადმოსცეს რეჟისორის ჩანაფიქრი.

რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა ოზურგეთელ მაყურებელს მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებული სპექტაკლი უჩვენა. ამ სპექტაკლით კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა ოზურგეთის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში.

სპექტაკლი თანამედროვე პრობლემებს აღწერს, ლიას და ლალის სახით ჩვენს თვალწინ ის ქალბატონებია, რომლებიც მთელი ცხოვრება შრომობენ, საკუთარი თავის უარყოფის ხარჯზე. განმითხავი კი არავინაა.

მაყურებელი ცხადად ხედავს ემიგრანტი ქალის ცხოვრებას, ჯანრთელობა შელახული ქალი სასწაფოდ მიემგზავრება საზღვარგარეთ, იქნებ იმის შიშითაც, რომ ვაითუ დროზე ვერ ჩავიდეს და სამსახური დაკარგოს, ამიტომ აიძულებს თავს, კვლავ უცხო ქვეყანაში განვლოს თუნდაც სიცოცხლის დარჩენილი წლები, ოღონდაც მისი ოჯახის წევრებს არაფერი მოაკლდეს. ვინ იცის, რამდენი ღამე ტირილში გაუტარებია, იქნებ სინანულშიც არის, მაგრამ ამას არც არასოდეს იტყვის, იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვს.

სამწუხაროდ, მწარე რეალობაა, რომ საკუთარ სამშობლოში, საქართველოში მყოფი ქალების გარკვეული ნაწილი, საკუთარ ოჯახებში, გაუსაძლის პირ-ობებში იმყოფებიან.ზოგი ფიზიკური, ზოგიც მორალური ძალადობის მსხვერპლნი არიან, თუმცა, თავს უფლებას არ აძლევენ ამის შესახებ ილაპარაკონ, ისინი მხოლოდ ფიქრობენ ან ლალის მსგავსად წერილს წერენ ან შეიძლება წარმოსახვით ესაუბრებოდნენ თავიანთ მეგობრებსა და გულშემატკივრებს, რეალობაში კი ვერ ბედავენ ხმის ამოღებას. ალბათ, იმიტომაც ეშინიათ, რომ უფრო მეტად არასასურველ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ.

პიესის მთავარი გმირ, ოჯახს გადაგებული ქალი, რომელიც, მართალია, ძალიან დაღლილია ყოველდღიური რუტინული შრომით, მაგრამ ოჯახის წევრებზე ზრუნვის გარეშე ცხოვრება მაინც ვერ წარმოუდგენია, მოულოდნელად ღრმა დეპრესიის მსხვერპლი ხდება და უმძიმესი ცოდვით დამძიმებული მიდის მარადისობაში, ჩვენ კი მწარე ტკივილს და უამრავ საფიქრალს გვიტოვებს.

მეორე სკოლელები მხიარული სტარტების მსოფლიო ჩემპიონატზე

პირველი სასკოლო მსოფლიო ჩემპიონატი მხიარულ სტარტებში, უკრაინაში, კიევში ტარდება. ჩემპიონატში საქართველოს სახელით ნოდარ დუმბაძის სახელობის ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ასპარეზობენ.

ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნებია: უკრაინა, ჩინეთი, ხორვატია, საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდავეთი, ყაზახისტანი, ქალაქი კიევი.

ქართველ სპორტსმენთა გუნდი დღეს ჩაფრინდა უკრაინის დედაქალაქში. მასპინძლებმა დელეგაციებს სპორტკომპლექს „ ავორ შპორტ”-ში გულთბილი დახვედრა მოუწყვეს.

მიღების საღამოზე ღონისძიების მონაწილე ქვეყნების დელეგაციებს სიტყვით მიმართა უკრაინის სასკოლო სპორტის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა. ვადიმ სტეტსენკომ თავის სიტყვაში ისაუბრა სპორტის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე მომავალი თაობის

ცხოვრებაში. გუნდებს მადლობა გადაუხადა ჩამობრძანებისთვის, წარმატება უსურვა მათ და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ჩატარდა კენჭისყრა, რომლის მიხედვითაც დაკომპლექტდა მხიარული სტარტების საერთაშორისო თამაშების გუნდები. კენჭისყრის შედეგების მიხედვით ქართველი სპორტსმენები ოთხ სხვადასხვა გუნდში გადანაწილდნენ და გასულ შაბათ-კვირას პირველ ასპარეზობები გაიმართა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე +13+23	მზე +14+25	მზე, ღრუბელი +16+27	მზე, ღრუბელი +13+26	მზე, ღრუბელი +13+21	წვიმა +12+21	წვიმა +12+20
14 ოქტომბერი ორშაბათი	15 ოქტომბერი სამშაბათი	16 ოქტომბერი ოთხშაბათი	17 ოქტომბერი ხუთშაბათი	18 ოქტომბერი-პარასკევი	19 ოქტომბერი შაბათი	20 ოქტომბერი კვირა